


შპს "გამა" (ს/კ 208208198)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018

აქტივები	შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
მიწა	1	342 361.00	342 361.00
ძირითადი საშუალებები	1	2 348 767.00	1 923 335.00
არამატერიალური აქტივები	1	3 229.00	3 229.00
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 694 357.00	2 268 925.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	59 422.00	23 704.00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	630 345.00	582 903.00
გადახდილი ავანსები	3	93 250.00	690 581.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	927 165.00	403 080.00
სულ მიმდინარე აქტივები		1 710 182.00	1 700 268.00
სულ აქტივები		4 404 539.00	3 969 193.00
ვალდებულებები			
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	264 881.00	191 128.00
საგადასახადო ვალდებულებები	6	19 063.00	52 223.00
სასესხო ვალდებულებები	7	389 520.00	522 818.00
სხვა ვალდებულებები	7	172 339.00	161 455.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		845 803.00	927 624.00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	80 000.00	80 000.00
გაუნაწილებელი მოგება	8	3 363 822.00	2 846 655.00
სხვა რეზერვები	8	114 914.00	114 914.00
სულ კაპიტალი		3 558 736.00	3 041 569.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4 404 539.00	3 969 193.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



/დ. ჩახტაური/

/ნ. ნიკურაძე/

შპს "გამა" (ს/კ 208208198)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწიდებიდან და მომსახურებიდან	9 423 298.00
	<u>სულ შემოსავალი</u>	<u>9 423 298.00</u>
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	498 666.00
2	გადახდილი გადასახადები	1 671 164.00
3	ბანკის მომსახურების ხარჯი	7 455.00
4	ბანკის სესხი	135 088.00
5	საპროცენტო ხარჯი	58 161.00
6	სხვა ხარჯები	6 528 679.00
	<u>სულ გასავალი</u>	<u>8 899 213.00</u>
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	403 080.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	<u>927 165.00</u>

დირექტორი:



/დ. ჩანტაური/

ბუღალტერი:

/ნ. ნიკურაძე/


შპს "გამა" (ს/კ 208208198)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

#	შემოსავალი	თანხა
1	შემოსავალი რეალიზიციიდან	6 808 056.00
2	იჯარა	114 703.00
	<u>სულ შემოსავალი</u>	<u>6 922 759.00</u>
	ბარჯები	
1	პირდაპირი ხელფასი	476 529.00
2	გაყიდული/შეძენილი საქონელი	4 951 642.00
3	იჯარა	92 825.00
4	კომუნიკაციის ხარჯები	4 267.00
5	დაცვა	2 610.00
6	საკონსულტაციო ხარჯები	4 118.00
7	სამეურნეო ხარჯი	667.00
8	ცვეთა და ამორტიზაცია	164 703.00
9	სხვა საგადასახადო ხარჯი	24 755.00
10	კომუნალური ხარჯი	293 920.00
	საპროცენტო ხარჯი	58 161.00
11	სხვა საერთო ხარჯი	334 276.00
	<u>სულ ბარჯი</u>	<u>6 408 473.00</u>
	მოგება	<u>514 286.00</u>
	მოგების განაწილება	
	დარჩენილი მოგება	<u>514 286.00</u>

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "გამა" (ს/კ 208208198)
განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს "გამა" (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2000 წლის 27 აპრილს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 208208198.

1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- გაზის შესყიდვა-რეალიზაცია;
- გაზით გასამართი საკომპრესორო სადგურის მშენებლობა, მონტაჟი, ფუნქციონირება;
- საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება საქართველოს საზოგადოებისა და დამფუძნებელთა ინტერესებს.

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების

ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);
- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- 2.12. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;

- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.19. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
- ბალანსს ((შენიშვნებით);
 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ბალანსი 31 დეკემბერი 2017 წელი	2 268 925.00
მიწის ნაკვეთები	342 361.00
შენობა-ნაგებობები	740 766.00
მანქანა-დანადგარები	1 045 492.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	52 686.00
სატრანსპორტო საშუალებები	84 391.00
არამატერიალური აქტივები	3 229.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	2 694 357.00
მიწის ნაკვეთები	342 361.00
შენობა-ნაგებობები	1 086 569.00
მანქანა-დანადგარები	1 129 915.00
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	64 771.00
სატრანსპორტო საშუალებები	67 512.00
არამატერიალური აქტივები	3 229.00

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	59 422.00
		59 422.00

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება; გადახდილი ავანსები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	მოკლევადიანი მოთხოვნები	630 345.00
2	გადახდილი ავანსები	93 250.00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	723 595.00

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	927 165.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	927 165.00

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	264 881.00
2	სხვა ვალდებულებები	172 339.00
-	<u>ჯამი</u>	<u>437 220.00</u>

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	საგადასახადო ვალდებულებები	19 063.00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	19 063.00

შენიშვნა 7 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2018 წ.
1	სესხი თიბისი ბანკიდან	389 520.00
	სულ სასესხო ვალდებულებები	389 520.00

შენიშვნა 9 - კაპიტალი

#	დასახელება	საწყესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვი	ჯამურად
1	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	80 000.00	2 846 655.00	114 914.00	3 041 569.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	-	517 167.00	-	517 167.00
	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	80 000.00	3 363 822.00	114 914.00	3 558 736.00

დირექტორი:

ბუღალტერი:



დ. ჩანტაური

ნ. ნიკურაძე